

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“
და სს „ალიანს ენერჯის“ შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების
მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

19 ივნისი, 2012 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს
ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ,

მეორეს მხრივ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“, რომლის
იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, წარმოდგენილი გენერალური
დირექტორის, ირინა მილორაგას სახით,

მესამეს მხრივ, სს „ალიანს ენერჯი“, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, მ. კოსტავას
47/57 წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, ირაკლი ტყეშუჩავას სახით,

და

მეოთხეს მხრივ, სს „AE-SGI Energy I“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404421915), რომლის
იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, მ. კოსტავას 47/57 წარმოდგენილი დირექტორის, ირაკლი
ტყეშუჩავას სახით.

ვინაიდან:

- სს „ალიანს ენერჯის მიერ“ საქართველოს მთავრობასთან და სს „ელექტროენერგეტიკული
სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ 2011 წლის 18 ნოემბერს დადებული ურთიერთგაგების
მემორანდუმის (შემდგომში „მემორანდუმი“) საფუძველზე ხორციელდება გურიის რეგიონში,
მდინარე გუბაზეულზე 1,9 მგვტ სიმძლავრის ნაბელლავის ჰიდროელექტროსადგურის
მშენებლობა,

- სს „ალიანს ენერჯის“ და სს „AE-SGI Energy I-ს“ შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება პროექტის სს
„AE-SGI Energy I-ის“ მიერ განხორციელების შესახებ,

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან:

- ა) მემორანდუმით გათვალისწინებული „კომპანიის“ უფლებები და ვალდებულებები სრულად გადაეცემა სს „AE-SGI Energy I-ს“ და შესაბამისად, მემორანდუმსა და წინამდებარე შეთანხმებაში მოხსენიებული ტერმინი „კომპანია“ გულისხმობს სს „AE-SGI Energy I-ს“;
- ბ) ნაცვლად სს „ალიანს ენერჯის“, მემორანდუმის მხარეს წარმოადგენს სს „AE-SGI Energy I“.

მუხლი 2.

- ა) სს „AE-SGI Energy I“ იღებს ვალდებულებას წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 2 კვირის ვადაში წარმოადგინოს მთავრობის სასარგებლოდ გაცემული 340 000 აშშ დოლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იქნება „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრ ნებისმიერ ქვეყანაში, ან საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ.
- ბ) მთავრობა იღებს ვალდებულებას სს „AE-SGI Energy I-ის“ მიერ ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შემთხვევაში, დააბრუნოს ნაბელლავიჰესის მშენებლობისათვის სს „ალიანს ენერჯის“ მიერ წარმოდგენილი 340 000 აშშ დოლარის ოდენობის (სს „საქართველოს ბანკის“ 2011 წლის 6 ოქტომბრის № PE25469-11) საბანკო გარანტია და გასცეს თანხმობა მისი გაუქმების შესახებ.

მუხლი 3.

- ა) წინამდებარე შეთანხმება, გარდა მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა, ძალაში შედის სს „AE-SGI Energy I-ის“ მიერ ამ შეთანხმების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების დღიდან;
- ბ) წინამდებარე შეთანხმების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ შეთანხმების ხელმოწერის დღიდან.
- გ) სს AE-SGI Energy I-ის მიერ ამ შეთანხმების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმება არ შედის ძალაში და ჩაითვლება გაუქმებულად.
- დ) წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად.


ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით

ხელისმომწერი: 


ხელმოწერილია:

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის სახელით

ხელისმომწერი: 


ხელმოწერილია:

სს „ალიანს ენერჯის“ სახელით

ხელისმომწერი: 

ხელმოწერილია:

სს „AE-SGI Energy I“-ს სახელით

ხელისმომწერი: 



საქართველოს მთავრობის

განკარგულება

N 1104 2012 წლის 8 ივნისი ქ.თბილისი

„საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემების კომერციულ ოპერატორს“ და სს „ალიანს ენერჯის“ შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ“ შეთანხმების პროექტის თაობაზე

1. მოწინებულ იქნეს „საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემების კომერციულ ოპერატორს“ და სს „ალიანს ენერჯის“ შორის 2011 წლის 18 ნოემბერს დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის შესახებ“ შეთანხმების პროექტი.
2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, შეთანხმებას საქართველოს მთავრობის სახელით ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

პრემიერ-მინისტრი

ნ. ხეთაგური